საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 117

ქ. ბათუმი 28 დეკემბერი, 2016 წ.

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 06 ივლისის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 06 ივლისის №40 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილების პირველი პუნქტის „ა", „გ", „დ", „ე", „ვ", „ზ", „თ" და „ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს 2016 წლის 3 ოქტომბერს და დამთავრდეს 2016 წლის 27 იანვარს.

გ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2016 წლის 31 დეკემბრიდან 2017 წლის 7 იანვრის ჩათვლით;

დ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 30 იანვარიდან 18 თებერვლის ჩათვლით;

ე) დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 20 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით;

ვ) გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2017 წლის 27 თებერვალს, ორშაბათს და დამთავრდეს 2017 წლის 17 ივნისს.

ზ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 19 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით;

თ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 10 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით;

ი) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2017 წლის 17 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით;

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანატებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ასევე ბსუ–ს ვებ–გვერდზე და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**